

შეზღუდული კასუისმგებლობის საზოგადოება
სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
სპეციალური დანიშნულების
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა



შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“
დოლიძის ქ. № 2
0177 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (322) 36 33 11
ფაქსი: (995) (322) 36 33 11
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
2 str. Dolidze
0177 Tbilisi, Georgia
Tel.: (995) (322) 36 33 11
Fax: (995) (322) 36 33 11
E-mail: info@fmg.ge

დაუმოკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები-ს დამფუძნებლებს
კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“-ს თანდართული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის, სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობისა და სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, გარდა „მოდუფიცირებული მოსაზრების საფუძვლებში“ აღწერილი საკითხისა, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები-ს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტორებად ჩვენ დავინიშნეთ 2018 წლის 15 სექტემბერს, შესაბამისად ჩვენ ვერ დავესწარიტ კომპანიის სასაქოლო-მატერიალური მარაგების ფიზიკურ დათვლას და მათი დადასტურება ვერ შევძელიტ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშში ვერ დასტურდება, ჩვენ ვერ შევძელიტ იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას,

დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

რუსუდან ჩაგელიშვილი

10 დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	01.01.2017	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	33,106,203	39,289,158
არამატერიალური აქტივები	4	145,739	121,854
სულ გრძელვადიანი აქტივები		33,251,942	39,411,012
მიმდინარე აქტივები			
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		13,445	25,280
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	6,860,465	8,272,629
გადახდილი ავანსები		653,083	697,268
სავაჭრო მოთხოვნები	6	2,747,339	5,371,759
საექვო მოთხოვნები მოთხოვნები		615,974	205,958
ფული და ფულის ექვივალენტები	7	3,152,488	4,805,683
სულ მიმდინარე აქტივები		14,042,794	19,378,576
სულ აქტივები		47,294,737	58,789,588
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		45,858,085	45,858,085
რეზერვები და დაფინანსება		18,277,978	18,234,159
გაუნაწილებელი მოგება		(25,661,658)	(17,721,233)
სულ კაპიტალი		38,474,405	46,371,011
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	673,304	168,669
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		673,304	168,669
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	9	7,052,470	11,505,599
მიღებული ავანსები	9	108,402	908
გადასახდელი ხელფასები		455,665	10,814
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		0	181,314
გადასახდელი პროცენტები			5,677
საგადასახადო ვალდებულება		530,491	545,597
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,147,028	12,249,908
სულ ვალდებულებები		8,820,332	12,418,577
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		47,294,737	58,789,588

გენერალური დირექტორი

10 დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	69,613,567
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(44,259,457)
მთლიანი მოგება		25,354,110
მიწოდების ხარჯი	12	(13,874,612)
საოპერაციო ხარჯები	13	(1,423,079)
ხელფასის ხარჯი		(2,296,447)
ცვეთის ხარჯი		(205,397)
საოპერაციო მოგება		7,554,575
არასაოპერაციო შემოსავალი		886,646
არასაოპერაციო ზარალი		(358,336)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		(5,697)
საპროცენტო ხარჯი		(62,135)
მოგება-ზარალი საკუთროს სხვაობიდან		(72,424)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		388,054
მოგება დაბერგვამდე		7,942,628
მოგების გადასახადი		(2,204)
წმინდა მოგება		7,940,425
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ სრული შემოსავალი		7,940,425

გენერალური დირექტორი

10 დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31/12/2017
წლის მოგება	7,940,425
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	72,424
ცვთის ხარჯი	3,544,088
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	11,556,937
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(2,603,291)
ცვლილებები უიმედო მოთხოვნებში	410,016
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1,412,526)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(72,858)
ცვლილებები მოთხოვნებში პერსონალის მიმართ	(11,868)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	15,106
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	4,269,514
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	5,677
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(105,927)
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	(444,651)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	11,606,129
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(9,744,496)
ცვლილებები არამატერიალ აქტივებში	(2,481)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(9,746,977)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გრძელვადიანი სესხების დაფარვა	(325,866)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(325,866)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	119,910
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	1,653,195
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	3,152,488
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	4,805,683

გენერალური დირექტორი

10 დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები და დაფინანსება	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	45,858,085	18,277,978	(25,661,658)	38,474,405
გაუნაწილებელი მოგება			7,940,425	-
ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი	-	(43,819)		-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	45,858,085	18,234,159	(17,721,233)	46,371,011

გენერალური დირექტორი

10 დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“ (შემდგომში ”ორგანიზაცია”) დაფუძნდა 1998 წლის 20 იანვარს, მარეგისტრირებული ორგანო არის თბილისის ისნის რაიონის სასამართლო, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, მე-10 კმ. კომპანიის დამფუძნებელია ორი არარეზიდენტი იურიდიული პირი: BE 0 443 205 173 ბი.ეს.ეი. ინთერნეიშენალ, ბელგია - 85% და კორპორაცია „სქაივიჟენ ელ თი დი, მარშალის კუნძულები - 15%.

კომპანია არის საქართველოს ბაზარზე არსებული რძის და რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია. კომპანია აწარმოებს და საქართველოს მაშტაბით ყიდის მაწონს, რძეს, ხაჭოს, ყველს და სხვა სახის რძის ნაწარმს.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (”ზასს”) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (”ფასს”) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის (”ფაისკ”) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციების შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი სრული შემოსავლის, ფულადი ნაკადების მოძრაობის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების და შესაბამისი ახსნა განმარტებითი შენიშვნების შესადარისი ინფორმაცია 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, მოცემული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების სრულ პაკეტს.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

კომპანია არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები1;
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (და შესაბამისი განმარტებები)1;
- ფასს 16 - იჯარა2;

- ფასს 17 - სადაზღვევო კონტრაქტები3;
- ფასს 22 - სავალუტო ოპერაციები და საავანსო ანაზღაურება1;
- ფასს 23 - მოგების გადასახადის დამუშავებასთან დაკავშირებული არასარწმუნოება2;
- შესწორებები ფასს 2 - იმ ტრანზაქციების კლასიფიკაცია და გაზომვა, რომელთა ანაზღაურება ხდება აქციების მეშვეობით1;
- შესწორებები ფასს 10 და ბასს 28 - აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში4;
- შესწორებები ბასს 40 - საინვესტიციო ქონების გადაცემა1;
- შესწორებები ფასს 4 - 'ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები' გამოყენება ფასს 4 "სადაზღვევო კონტრაქტებთან" ერთად1;
- შესწორებები ფასს 9 - წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი ანაზღაურებით2;
- ბასს 28 - მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში არსებული გრძელვადიანი წილები2;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2014-2016 წწ. ციკლი1;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2015-2017 წწ. ციკლი2.

1. ძალაშია 2018 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

2. ძალაშია 2019 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

3. ძალაშია 2021 წ. 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

4. ძალაშია ჯერ არგამოცხადებული თარიღიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების გამოყენება მომავალში არსებით ზეგავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს, თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას. აღნიშნული აქტივების და ვალდებულებების გადაფასების პოლიტიკა აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის ქვემოთ მოყვანილ პრინციპებში.

უცხოური ვალუტის ოპერაციები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6468	2.5922
ლარი/1 ევრო	2.6169	3.1044

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება. საანგარიშო პერიოდში არსებული უიმედო მოთხოვნები ჩამოწერილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და მიმდინარე მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს პერიოდის ბოლოს არსებული ვალდებულებების ანალიზს და მის დარეზერვებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს უშუალოდ მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

კომპანიის საკუთრებაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოადგენს მალფუჭებად პროდუქციას. ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული მარაგების საბალანსი ღირებულება შემცირებულია შესაბამისი რეზერვებით.

გადასახადები

მიღებული ინფორმაციის შესწავლამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის მიერ შესაბამისი გადასახადების გამომწვევებისა და დეკლარირების ნაწილში აუდიტორებად პერიოდში ადგილი არ ჰქონდა არსებით უზუსტობებს.

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე.

შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე.

ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია რეალური ღირებულებით მინუს ცვეთა. კომპანიის უძრავი ქონება შეფასებულია 2016 წლის 31 დეკემბერს და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად. ბალანსზე აღრიცხული სხვა ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ. ამ აქტივების საბაზრო ღირებულება არსებითად არ არის შეცვლილი და არ საჭიროებს მიმდინარე პერიოდში შეფასებას.

პერიოდის ცვეთის ხარჯი

კომპანიის ბალანსზე არსებული მატერიალური აქტივების ცვეთა გამოიქვითება აქტივების საბალანსო ღირებულებიდან და გამოიყენება აქტივების ჩამოსაწერად მათი ექსპლუატაციის ვადის ამოწურვამდე. ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

- შენობა-ნაგებობები - 30 წელი
- მანქანა დანადგარები - 5-20 წელი
- ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი
- ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

გადახდილი ავანსები

აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეუძლებელია არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიას ასევე გააჩნია ავანსად მიღებული თანხის შესაბამისად გასაწევი ვალდებულებები.

სესხები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები მოიცავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებულ ვალდებულებებს ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული სესხები კლასიფიცირებულია ვადიანობის მიხედვით.

კაპიტალი

კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

შემოსავალი

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შედავათების საფუძველზე.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული თუ ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.

შემოსავალი (გაგრძელება)

- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.
- შესაძლებელია ტრანზაქციასან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი ხარჯების

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება რეალიზებული საქონლის თვითღირებულებისაგან და იმ ხარჯებისგან რომელზეც გაწეულია ამ პროდუქციის და მომსახურების მიწოდებაზე.

ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

შპს სანტე ჯი ემ თი პროდიქტები
 სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწა	შენობა- ნაგებობი	დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ინვენტარი	ინფორმაციული ტექნოლოგიები	დაუმონტაჟებული ძირითადი საშუალებები
საწყისი ღირებულება							
ბალანსი 31/12/2016	11,602,089	12,614,410	19,477,592	4,099,743	562,793	573,606	422,910
აკუმულირებული ცვეთა	-	(1,010,604)	(11,286,231)	(2,951,892)	(532,040)	(466,174)	
ბალანსი 31/12/2016	11,602,089	11,603,806	8,191,361	1,147,851	30,753	107,433	422,910
დანამატები	-	271,919	3,893,785	586,920	74,590	34,719	11,990,275
აქტივების ჩამოწერა	-	(16,900)	(622,009)	(487,005)	(16,544)		(8,221,373)
ცვეთა პერიოდისათვის	-	(428,753)	(1,489,299)	(354,658)	(79,270)	(59,592)	
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	978	620,600	470,096	14,477		
ბალანსი 31/12/2017	11,602,089	11,431,049	10,594,438	1,363,204	24,006	82,560	4,191,812
ბალანსი 31/12/2016	11,602,089	11,603,806	8,191,361	1,147,851	30,753	107,433	422,910
ბალანსი 31/12/2017	11,602,089	11,431,049	10,594,438	1,363,204	24,006	82,560	4,191,812

შპს სანტე ჯი ემ თი პროდიქტები
 სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი
 შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 4 - არამატერიალური აქტივები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არსებული არამატერიალური აქტივის არსებითი ნაწილი მოიცავს იმ პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს, რომელშიც კომპანია აღრიცხვას საოპერაციო საქმიანობას.

	პატენდები და პროგრამული უზრუნველყოფა
საწყისი ღირებულება	
ბალანსი 31/12/2016	248,608
აკუმულირებული ცვეთა	(102,868)
ბალანსი 31/12/2016	145,739
დანამატი	2,481
ცვეთა პერიოდისათვის	(26,366)
ბალანსი 31/12/2017	121,854
ბალანსი 31/12/2016	145,739
ბალანსი 31/12/2017	121,854

შენიშვნა 5 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე აღრიცხულია სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს:

	31/12/2016	31/12/2017
მზა პროდუქცია	722,686	681,031
საქონელი და ნედლეული	6,905,056	7,383,052
სახარჯი და დამხმარე მასალები	98,893	390,638
მცირეფასიანი ინვენტარი	1,211,985	1,379,720
სხვა მარაგები	658,461	915,870
რეზერვები	(2,736,616)	(2,477,682)
სულ ნედლეული და მასალები	6,860,465	8,272,629

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი
 შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 6 - მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31/12/2016	31/12/2017
სავაჭრო მოთხოვნები	3,502,494	5,748,565
უიმედო მოთხოვნები	615,974	205,958
მოთხოვნების რეზერვი	(755,154)	(376,806)
სულ მიმდინარე მოთხოვნები	3,363,314	5,577,717

შენიშვნა 7 - ფული და ფულადი ექვივალენტები

	31/12/2016	31/12/2017
ლარი საბანკო ანგარიშებზე	2,838,415	1,072,803
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	30,910	3,444,528
	2,869,325	4,517,331
ნაღდი ფული სალაროში	283,163	288,352
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	283,163	288,352
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	3,152,488	4,805,683

შენიშვნა 8 - გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	ვადიანობა	31/12/2016	31/12/2017
საქართველოს სალიზინგო კომპანია	USD	30.07.2018	197,267	53,082
თი-ბი-სი ლიზინგი	USD	27.09.2018	386,220	281,020
საქართველოს სალიზინგო კომპანია	EUR	16.03.2018	65,229	15,881
თი-ბი-სი ლიზინგი	GEL	30.04.2017	24,589	
სულ გრძელვადიანი სესხები			673,304	349,983

შპს სანტე ჯი ემ თი პროდიქტები
 სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი
 შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 9 - სავაჭრო ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	31/12/2016	31/12/2017
სავაჭრო ვალდებულებები	7,052,470	11,505,599
მიღებული ავანსები	108,402	908
სულ სავაჭრო ვალდებულებები	7,160,872	11,506,507

შენიშვნა 10 -შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი შედგება შემდეგი საქონლის რეალიზაციისაგან:

რძე და რძემჟავა პროდუქტები	55,074,447
კარაქი, ყველი	15,252,833
სხვა	233,931
ფასდათმობა	(947,645)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	69,613,566

შენიშვნა 11 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31/12/2017
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	43,217,164
რემონტის ხარჯი	865,230
ლაბორატორიის ხარჯები	163,918
სხვა ხარჯები	13,146
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	44,259,457

შენიშვნა 12 - გაყიდვების და მიწოდების ხარჯები

პერიოდის მიწოდების ხარჯი მოიცავს შემდეგ დანახარჯებს:

	31/12/2017
შრომის ანაზღაურება	5,092,824
იჯარის ხარჯი	124,250
საწვავის ხარჯი	1,200,647
მივლინების ხარჯი	78,186
დაზღვევის ხარჯი	80,993
საოფისე ხარჯი	55,490
კომპიუტერული ხარჯი	28,590
ცვეთის ხარჯი	424,433
საპროცენტო ხარჯი	68,010
კომერციული და სხვა მომსახურების ხარჯები	6,401,191
კომუნალური ხარჯი	127,787
საგადასახადო ხარჯები	23,065
სხვა ხარჯები	148,096
საკომუნიკაციო ხარჯები	21,050
სულ მიწოდების ხარჯები	13,874,612

შენიშვნა 13 - ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	31/12/2017
საოფისე ხარჯები	44,483
კომპიუტერული ხარჯები	15,012
საგადასახადო ხარჯები	24,365
საკომუნიკაციო ხარჯები	18,703
კომუნალური ხარჯები	35,698
დაზღვევის ხარჯები	52,060
საწვავის ხარჯები	48,961
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	862,157
კადრების გადამზადების ხარჯები	5,135
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	32,364
საბანკო ხარჯები	63,577
მივლინების ხარჯები	67,969
წარმომადგენლობითი ხარჯები	58,020
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	87,458
დაცვა და უსაფრთხოება	2,525
ტექნიკური მხარდაჭერა	4,590
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	1,423,078

4. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: ბაზრის რისკი (შემდეგი რისკების ჩათვლით: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები). რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ა) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ჯგუფი ფლობს უცხოურ ვალუტაში აღრიცხულ სასესხო ვალდებულებას. ასევე კომპანია მიღებული საქონლის შესაბამისად ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. 2017 წელს დოლარის და ევროს გაცვლითი კურსის გამყარებამ კომპანიაში წარმოქმნა ფინანსური ზარალი საკურსო სხვაობიდან.

მენეჯმენტის პოზიციით სავალუტო სხვაობის დასაშვები ცვლილებები გათვალისწინებულია მოგების მარჟის გაანგარიშებაში, რაც ამცირებს სავალუტო სხვაობით წარმოქმნილი ზარალის გავლენის არსებითობას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. კომპანიის აქტივები, პოტენციურად ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. მენეჯმენტის მიერ დანერგილი კონტროლები რიგ შემთხვევებში არ არის შესაბამისი საკრედიტო რისკების მინიმალიზაციისათვის, რის გამოც წამოიქმნება უიმედო მოთხოვნები და აღიარდება პერიოდის ხარჯად.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიას დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს.

ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

5 - ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში #24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

თითოეული დაკავშირებული მხარის განხილვისას, ყურადღება ეთმობა კავშირის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას. ორგანიზაციას და მის მეკავშირე კომპანიებს შორის განხორციელებული ტრანზაქციები, რომლებიც ასევე წარმოადგენენ ორგანიზაციის დაკავშირებულ მხარეებს, შემცირებას დაექვემდებარა ამ კომპანიებში ორგანიზაციის წილის ოდენობით.

ჩანაწერებში მოცემულია საანგარიშო პერიოდში იდენტიფიცირებული დაკავშირებული მხარეები და მათთან განხორციელებული ოპერაციები:

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

BIG s.r.l.	292758
BPA	30695
L.R.D	127864
LACTALIS INVESTTISSEMENTS	5939532
Lactalis istra	160969
LACTALIS-INFORMATIQUE	61467.
LAKTALIS VOSTOK AO	974311.
LAKTALIS-UKRAINA	1514086
SC DORNA LACTATE SA	54892.
ლაქტალის ჯორჯია	141041

6 - სასამართლო დავები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში კომპანიის მიმართ მიმდინარეობს სასამართლო დავები და საჩივრები. ხელმძღვანელობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, კომპანიას პერიოდის ბოლოს გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებიც არსებით გავლენას არ იქონიებს კომპანიის საქმიანობაზე. ისინი ძირითადად მოიცავს მოთხოვნების გადაუხდელობაზე წარმოქმნილ სასამართლო პროცესებს, რომლის ფინანსური შედეგიც უკვე ასახულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და არ გამოიწვევს დამატებით დანახარჯებს. კომპანიას ასევე აქვს მიმდინარე სასამართლო დავა შემოსავლების სამსახურთან.

7 - საწარმოს უწყვეტობის განხილვა

მენეჯმენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტს განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები, მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ ორგანიზაციის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვთ კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

8 - ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
სპეციალური დანიშნულების
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა



ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. № 2
0177 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (322) 36 33 11
ფაქსი: (995) (322) 36 33 11
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
2 str. Dolidze
0177 Tbilisi, Georgia
Tel.: (995) (322) 36 33 11
Fax: (995) (322) 36 33 11
E-mail: info@fmg.ge

დაუმოკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები-ს დამფუძნებლებს
კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“-ს თანდართული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კომპანიის სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2017 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის, სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების მოძრაობისა და სპეციალური დანიშნულების კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების უწყისებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის და ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ჩვენი აზრით, გარდა „მოდუფიცირებული მოსაზრების საფუძველზე“ აღწერილი საკითხისა, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები-ს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის აუდიტორებად ჩვენ დავინიშნეთ 2018 წლის 15 სექტემბერს, შესაბამისად ჩვენ ვერ დავესწარიტ კომპანიის სასაქოლო-მატერიალური მარაგების ფიზიკურ დათვლას და მათი დადასტურება ვერ შევძელით 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ვინაიდან მარაგების საწყისი ნაშთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშში ვერ დასტურდება, ჩვენ ვერ შევძელით იმის დადგენა, საჭირო იქნებოდა თუ არა სრული შემოსავლების ანგარიშში ასახული წლის მოგების და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.



ფინანსური მართვის ჯგუფი
დოლიძის ქ. № 2
0177 თბილისი, საქართველო
ტელ.: (995) (322) 36 33 11
ფაქსი: (995) (322) 36 33 11
ელ-ფოსტა: info@fmg.ge

FINANCIAL MANAGEMENT GROUP
2 str. Dolidze
0177 Tbilisi, Georgia
Tel.: (995) (322) 36 33 11
Fax: (995) (322) 36 33 11
E-mail: info@fmg.ge

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას,

დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი პასუხისმგებლობა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

შპს ფინანსური მართვის ჯგუფი

რუსუდან ჩაგელიშვილი

10 დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო



რუსუდან ჩაგელიშვილი

შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	01.01.2017	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივი			
ძირითადი საშუალებები	3	33,106,203	39,289,158
არამატერიალური აქტივები	4	145,739	121,854
სულ გრძელვადიანი აქტივები		33,251,942	39,411,012
მიმდინარე აქტივები			
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		13,445	25,280
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	6,860,465	8,272,629
გადახდილი ავანსები		653,083	697,268
სავაჭრო მოთხოვნები	6	2,747,339	5,371,759
საექვო მოთხოვნები მოთხოვნები		615,974	205,958
ფული და ფულის ექვივალენტები	7	3,152,488	4,805,683
სულ მიმდინარე აქტივები		14,042,794	19,378,576
სულ აქტივები		47,294,737	58,789,588
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		45,858,085	45,858,085
რეზერვები და დაფინანსება		18,277,978	18,234,159
გაუნაწილებელი მოგება		(25,661,658)	(17,721,233)
სულ კაპიტალი		38,474,405	46,371,011
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	673,304	168,669
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		673,304	168,669
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	9	7,052,470	11,505,599
მიღებული ავანსები	9	108,402	908
გადასახდელი ხელფასები		455,665	10,814
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი		0	181,314
გადასახდელი პროცენტები			5,677
საგადასახადო ვალდებულება		530,491	545,597
სულ მიმდინარე ვალდებულებები		8,147,028	12,249,908
სულ ვალდებულებები		8,820,332	12,418,577
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		47,294,737	58,789,588

გენერალური დირექტორი

10 დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო



შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2017
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	69,613,567
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(44,259,457)
მთლიანი მოგება		25,354,110
მიწოდების ხარჯი	12	(13,874,612)
საოპერაციო ხარჯები	13	(1,423,079)
ხელფასის ხარჯი		(2,296,447)
ცვეთის ხარჯი		(205,397)
საოპერაციო მოგება		7,554,575
არასაოპერაციო შემოსავალი		886,646
არასაოპერაციო ზარალი		(358,336)
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		(5,697)
საპროცენტო ხარჯი		(62,135)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან		(72,424)
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი		388,054
მოგება დაბერგვრამდე		7,942,628
მოგების გადასახადი		(2,204)
წმინდა მოგება		7,940,425
სხვა სრული შემოსავალი		-
სულ სრული შემოსავალი		7,940,425

✓
 გენერალური დირექტორი
 10 დეკემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო



შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31/12/2017
წლის მოგება	7,940,425
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	72,424
ცვეთის ხარჯი	3,544,088
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	11,556,937
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნებში	(2,603,291)
ცვლილებები უიმედო მოთხოვნებში	410,016
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	(1,412,526)
ცვლილებები გადახდილ ავანსებში	(72,858)
ცვლილებები მოთხოვნებში პერსონალის მიმართ	(11,868)
ცვლილებები გადახდილ გადასახადებში	15,106
ცვლილებები სავაჭრო ვალდებულებებში	4,269,514
ცვლილებები გადასახდელ პროცენტებში	5,677
ცვლილებები მიღებულ ავანსებში	(105,927)
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში	(444,651)
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	11,606,129
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ცვლილებები ძირითად საშუალებებში	(9,744,496)
ცვლილებები არამატერიალ აქტივებში	(2,481)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(9,746,977)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გრძელვადიანი სესხების დაფარვა	(325,866)
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(325,866)
ფულზე და ფულის ექვივალენტებზე საკურსო სხვაობის ეფექტი	119,910
ფული და ფულადი ექვივალენტის ნეტო ცვლილება	1,653,195
ფული და ფულადი ექვივალენტის პერიოდის დასაწყისში	3,152,488
ფული და ფულადი ექვივალენტი პერიოდის ბოლოს	4,805,683

✓

[Handwritten signature]

გენერალური დირექტორი


10 დეკემბერი, 2018

თბილისი, საქართველო



შპს სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
 სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური კაპიტალში მომხდარი ცვლილებების
 ანგარიშგება
 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები და დაფინანსება	დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრისათვის	45,858,085	18,277,978	(25,661,658)	38,474,405
გაუნაწილებელი მოგება			7,940,425	-
ძირითადი საშუალების ცვეთის ხარჯი	-	(43,819)		-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	45,858,085	18,234,159	(17,721,233)	46,371,011

✓ 
 გენერალური დირექტორი

10 დეკემბერი, 2018
 თბილისი, საქართველო



შეზღუდული კასუსისმგებლობის საზოგადოება
სანტე ჯი ემ თი პროდუქტები
მმართველობითი ანგარიშგება
თან ერთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტების“ ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტების“ 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტების“ მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“. კანონის შესაბამისად, საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ განმარტებებს, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება კომპანიის განვითარების გეგმებს, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მდგომარეობას და შედეგებს, შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და აუდიტორის მოსაზრების გამოცემას. ჩვენი აზრით, ჩვენ მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ფინანსური მართვის ჯგუფი

გარიგების პარტნიორი

რუსუდან ჩაგელიშვილი

2018 წელი, თბილისი, საქართველო

შპს სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები მართველობითი ანგარიში

შპს „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ 1997 წლიდან ოპერირებს ქართული რძის პროდუქტების ბაზარზე და ამ ხნის განმავლობაში უპირობო ლიდერია რძისა და რძის პროდუქტების წარმოებაში. დარგის უმსხვილესი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი, მოქნილი და კვალიფიციური მენეჯმენტი, საიმედო და ავტორიტეტული პარტნიორები, აგრეთვე კეთილსინდისიერი ინვესტორები - ის უპირატესობებია, რაც უზრუნველყოფს "სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტების" წამყვანი პოზიციების შეუქცევადობას.

ჩვენ ვიყავით რძის გადამამუშავებელი პირველი საწარმო საქართველოში, რომელმაც დანერგა ISO და HACCP სტანდარტები, რაც გარანტიაა იმისა, რომ პროდუქტი, რომელსაც კომპანია ამზადებს, მუდმივად ახალი და ხარისხიანია.

„სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ მუდმივად განვითარებადი კომპანიაა. მან არა მხოლოდ შეინარჩუნა 21 წლიანი ისტორიის განმავლობაში შექმნილი გამოცდილება და ხარისხი, არამედ გააუმჯობესა და ევროპულ სტანდარტებთან თანხვედრაში მოიყვანა პროდუქციის წარმოების, ხარისხის, ადამიანის მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების დარგში.

კომპანიაში ამჟამად 500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული და თითოეული მათგანის როლი უმნიშვნელოვანესია წარმატებული საქმიანობისთვის. ასევე, არაპირდაპირი გზით, რეგიონალური სადისტრიბუციო ბაზებისა და ნედლი რძის შეგროვების ნაწილში სტაბილურ შემოსავალს იღებს დამატებით დაახლოებით 2200 ადამიანი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სანტე 2010 წლიდან აქტიურად ახორციელებს ინვესტიციებს რძის ჩაბარების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს, დღესდღეობით იყოს უმსხვილესი რძის მიმღები და გადამამუშავებელი საქართველოში. სანტე ფლობს 15-მდე რძის მიმღებ პუქტს მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც მოიაზრებს 2000-მდე ფერმერთან თანამშრომლობას და მათი ოჯახებისთვის სტაბილური შემოსავლის არსებობას მთელი წლის განმავლობაში. ბოლო სამი წლის მანძილზე სანტეს მიერ გადამამუშავებულმა რძის რაოდენობამ 30 000 000 ლიტრი შეადგინა.

კომპანია ადგილობრივი ბაზრისთვის აწარმოებს ყველა ძირითად კატეგორიას (125 მდე დასახელების პროდუქტი), რაშიც მოიაზრება რძე, კარაქი, ყველი, მაწონი, კეფირი, არაჟანი, იოგურტები, ხაჭო, რძიანი დესერტები.

სანტეს სადისტრიბუციო ქსელით, რომელიც საკუთრებაში არსებულ 70-მდე მაცივარ-მანქანას ითვლის, ყოველდღიურად მარაგდება მთელი საქართველო, მათ შორის მაღალმთიანი რეგიონებიც კი, რაც გვადლევს საშუალებას, ათვისებული გეგონდეს სავაჭრო ქსელის 99%, საიდანაც ძირითადი წილი მოდის თბილისზე.

იმისთვის, რომ კომპანია მუდმივად ახალ პროდუქტს აწვდიდეს მომხმარებელს, იგი საქართველოს მასშტაბით ფლობს რამდენიმე სასაწყობო მეურნეობას, საიდანაც მარაგდება მთელი საქართველო. ძირითადი წილი მოდის თბილისზე, 1 რეგიონალური ბაზა მდებარეობს კახეთში, 1 - იმერეთში, 1 - სამეგრელოში, 1 კი აჭარაში.

„სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ მუდმივად ცდილობს, იყოს ერთი ნაბიჯით წინ მის კონკურენტებზე და ბაზრის სხვა მოთამაშეებისთვის ყოველთვის წარმოადგენს ლოკომოტივს ახალი კატეგორიების განვითარებაში. ლიდერი პოზიციების შენარჩუნებაში კომპანიას ეხმარება ბაზრის შიდა კვლევები, რაც მას საშუალებას აძლევს შეისწავლოს მომხმარებლის ინტერესები, საჭიროებები, კონკურენტული გარემო და, შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილებები მისი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ მომხმარებელი არის ამოუვალე წერტილი. სამიზნე აუდიტორიის სწორად განსაზღვრა და მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული პროდუქტი წარმოადგენს წარმატების ერთ-ერთ მთავარ გასაღებს.

სანტეს ერთ-ერთი მთავარი „აქტივი“ მისი 21 წლიანი გამოცდილებით შექმნილი რეპუტაცია და ხარისხიანი კომპანიის იმიჯია, რისი შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვისაც კომპანია მუდმივად დებს ინვესტიციებს საწარმოო ხაზების განვითარებასა და გადაიარაღებაში. თანამედროვე ევროპული საწარმოო ხაზი კი იძლევა საშუალებას, მომხმარებელს შევთავაზოთ მრავალფეროვანი ასორტიმენტი, შესაბამისად, 125-მდე დასახელების პროდუქტიდან, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია გააკეთოს მისთვის მისაღები არჩევანი.

2016 წლიდან სანტე მსოფლიოს რძის პროდუქტების ბაზრის ლიდერის, Lactalis ჯგუფის წევრი გახდა, რომელიც ცნობილია ისეთი ბრენდებით როგორიცაა: President, Galbani და Parmalat. Lactalis ჯგუფი 200-ზე მეტ საწარმოს ფლობს მსოფლიოს მასშტაბით. ეს მოცემულობა კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორია ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის და რძის პროდუქტების დარგში დანერგილი უმაღლეს ხარისხის სტანდარტებთან მიახლოებისთვის.

უახლოეს მომავალში „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების“ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ყველის ბაზრის განვითარება საქართველოში და, გარდა ამისა, საქართველოს სახელისა და ტრადიციების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა ისეთი პროდუქტების სახით, როგორიცაა: ქართული ყველი ან, თუნდაც, ენდემური მაწონი.

ამ ეტაპზე კომპანია რეალიზაციას ახდენს ბზოლოდ ადგილობრივ ბაზარზე. სამომავლო გეგმებსა და პრიორიტეტებში შედის ექსპორტის მიმართულებით მუშაობა, რადგან წარმოებული პროდუქცია სრულად აკმაყოფილებს უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს.

წლიდან წლამდე ეფექტიანი რეინვესტირება ახალ ტექნოლოგიებსა და საწარმოო საშუალებებში საშუალებას გვაძლევს, გავხდეთ ეფექტურები როგორც თვითღირებულების, ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმადობის ზრდის ნაწილში, ასევე ადგილობრივი ნედლი რძის შეგროვება-გადამუშავებაში, რაც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და ხელშეწყობის ობიექტია კომპანიისთვის მიუხედავად იმისა, რომ იმპორტირებული რძე გაცილებით იაფია ადგილობრივთან შედარებით.

სანტეს ძირითადი რისკები და გამოწვევები დაკავშირებულია სავალუტო რისკებთან, რადგან გარდა ადგილობრივი ნედლი რძისა, ნედლეულის ძირითად ნაწილს წარმოადგენს იმპორტი ევროპული ქვეყნებიდან. შესაბამისად, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროს კურსის დინამიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ნედლი რძე პირდაპირ არ არის დამოკიდებული სავალუტო რისკებზე, ამ შემთხვევაში, გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში ნედლი რძის ბაზრის მკაცრი რეგულაციის არარსებობა, როგორც საგადასახადო ადმინისტრირების, ასევე სურსათის უვნებლობის კუთხით, რადგან ნედლი რძე ძირითადად იწარმოება/გადამუშავდება მცირე მეწარმეების მიერ, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი და, შესაბამისად, გართულებულია მათი ადმინისტრირებაც. ეს, საბოლოო ჯამში, არასამართლიან კონკურენტულ გარემოს ქმნის ორგანიზებული ინდუსტრიისათვის.

მეორეს მხრივ, ნედლი რძის მიმართულებით პრობლემის გადაჭრის საკმაოდ ეფექტიანი კანონპროექტი მუშავდება სახელმწიფო დონეზე, რაც ადგილობრივი, ნედლი რძისაგან წარმოებული პროდუქციის დღე-საგან გათავისუფლებას გულისხმობს. ეს ფაქტორი ორგანიზებული ინდუსტრიის ეკონომიკას ძირეულად შეცვლის და ადგილობრივ ნედლეულს ღირებულებით კონკურენტუნარიანს გახდის იმპორტირებულ ნედლეულთან შედარებით, რაც, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ფერმერული მეურნეობის განვითარებას და ეტაპობრივად ჩაანაცვლებს დიდი რაოდენობით იმპორტირებულ რძეს. ამ პროცესში ჩვენი კომპანიაც ინტენსიურად არის ჩართული.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ფინანსურად მომგებიანია, მოგება სრულად ხმარდება რეინვესტირებას ძირითად საშუალებებსა და ახალ ტექნოლოგიებში, ასევე რეალიზაციის ზრდის შესაბამისი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას. დივიდენდის განაწილება კომპანიიდან არასდროს მომხდარა და არც ახლო მომავალში იგეგმება.

რეალიზაციის ზრდის გეგმა საშუალოდ 5-7%-ს შეადგენს, როგორც არსებული ასორტიმენტის, ასევე ახალი მიმართულებების განვითარების ხარჯზე. ამ ნაწილში კომპანიას დაარსების დღიდან პოზიტიური დინამიკა აქვს.

დირექტორი:

ერეკლე გამყრელიძე

შეზღუდული კასუსისმგებლობის საზოგადოება

სანტე ჯი ემ თი პროდუქტები

მმართველობითი ანგარიშგება

თან ერთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება

შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“-ს ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“-ს 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიშგების აუდიტი. შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“-ს მმართველობითი ანგარიშგება მოიცავს საქმიანობის მიმოხილვას, რაც მოითხოვება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეორე კატეგორიის საწარმოებისგან, რომელსაც მიეკუთვნება შპს „სანტე ჯი ემ თი პროდუქტები“. კანონის შესაბამისად საქმიანობის მიმოხილვა, საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, უნდა ასახავდეს საწარმოს საქმიანობის განვითარების, შედეგებისა და მდგომარეობის, წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ განმარტებებს, საწარმოს წინაშე არსებული ძირითადი რისკებისა და გაურკვევლობების ანალიზს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მმართველობით ანგარიშგებაზე

საწარმოს ვალდებულებაა მმართველობის ანგარიშგების მომზადება და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურისთვის წარდგენა სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, კანონის შესაბამისად, საწარმო ვალდებულია, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდოს აუდიტორულ ფირმას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ წარვმართავდით აუდიტის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება, რომ მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება კომპანიის განვითარების გეგმებს, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მდგომარეობას და შედეგებს, შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობებს და აუდიტორის მოსაზრების გამოცემა. ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მიღებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად.

მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული მმართველობითი ანგარიშგება შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ფინანსური მართვის ჯგუფი

ნ. ჩხელიძე

გარიგების პარტნიორი

რუსუდან ჩაგელიშვილი

2018 წელი, თბილისი, საქართველო



შპს სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები მართველობითი ანგარიში

შპს „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ 1997 წლიდან ოპერირებს ქართული რძის პროდუქტების ბაზარზე და ამ ხნის განმავლობაში უპირობო ლიდერია რძისა და რძის პროდუქტების წარმოებაში. დარგის უმსხვილესი კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი, მოქნილი და კვალიფიციური მენეჯმენტი, საიმედო და ავტორიტეტული პარტნიორები, აგრეთვე კეთილსინდისიერი ინვესტორები - ის უპირატესობებია, რაც უზრუნველყოფს „სანტე-ჯი-ემ-თი პროდუქტების“ წამყვანი პოზიციების შეუქცევადობას.

ჩვენ ვიყავით რძის გადამამუშავებელი პირველი საწარმო საქართველოში, რომელმაც დანერგა ISO და HACCP სტანდარტები, რაც გარანტიაა იმისა, რომ პროდუქტი, რომელსაც კომპანია ამზადებს, მუდმივად ახალი და ხარისხიანია.

„სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ მუდმივად განვითარებადი კომპანიაა. მან არა მხოლოდ შეინარჩუნა 21 წლიანი ისტორიის განმავლობაში შეძენილი გამოცდილება და ხარისხი, არამედ გააუმჯობესა და ევროპულ სტანდარტებთან თანხვედრაში მოიყვანა პროდუქციის წარმოების, ხარისხის, ადამიანის მენეჯმენტისა და ტექნოლოგიების დარგში.

კომპანიაში ამჟამად 500-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული და თითოეული მათგანის როლი უმნიშვნელოვანესია წარმატებული საქმიანობისთვის. ასევე, არაპირდაპირი გზით, რეგიონალური სადისტრიბუციო ბაზებისა და ნედლი რძის შეგროვების ნაწილში სტაბილურ შემოსავალს იღებს დამატებით დაახლოებით 2200 ადამიანი მთელი ქვეყნის მასშტაბით.

სანტე 2010 წლიდან აქტიურად ახორციელებს ინვესტიციებს რძის ჩაბარების ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც კომპანიას საშუალებას აძლევს, დღესდღეობით იყოს უმსხვილესი რძის მიმღები და გადამამუშავებელი საქართველოში. სანტე ფლობს 15-მდე რძის მიმღებ პუქტს მთელი საქართველოს მასშტაბით, რაც მოიაზრებს 2000-მდე ფერმერთან თანამშრომლობას და მათი ოჯახებისთვის სტაბილური შემოსავლის არსებობას მთელი წლის განმავლობაში. ბოლო სამი წლის მანძილზე სანტეს მიერ გადამამუშავებულმა რძის რაოდენობამ 30 000 000 ლიტრი შეადგინა.

კომპანია ადგილობრივი ბაზრისთვის აწარმოებს ყველა ძირითად კატეგორიას (125 მდე დასახელების პროდუქტი), რაშიც მოიაზრება რძე, კარაქი, ყველი, მაწონი, კეფირი, არაჟანი, იოგურტები, ხაჭო, რძიანი დესერტები.

სანტეს სადისტრიბუციო ქსელით, რომელიც საკუთრებაში არსებულ 70-მდე მაცივარ-მანქანას ითვლის, ყოველდღიურად მარაგდება მთელი საქართველო, მათ შორის მაღალმთიანი რეგიონებიც კი, რაც გვადლევს საშუალებას, ათვისებული გეგმონდეს სავაჭრო ქსელის 99%, საიდანაც ძირითადი წილი მოდის თბილისზე.

იმისთვის, რომ კომპანია მუდმივად ახალ პროდუქტს აწვდიდეს მომხმარებელს, იგი საქართველოს მასშტაბით ფლობს რამდენიმე სასაწყობო მეურნეობას, საიდანაც მარაგდება მთელი საქართველო. ძირითადი წილი მოდის თბილისზე, 1 რეგიონალური ბაზა მდებარეობს კახეთში, 1 - იმერეთში, 1 - სამეგრელოში, 1 კი აჭარაში.

„სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები“ მუდმივად ცდილობს, იყოს ერთი ნაბიჯით წინ მის კონკურენტებზე და ბაზრის სხვა მოთამაშეებისთვის ყოველთვის წარმოადგენს ლოკომოტივს ახალი კატეგორიების განვითარებაში. ლიდერი პოზიციების შენარჩუნებაში კომპანიას ეხმარება ბაზრის შიდა კვლევები, რაც მას საშუალებას აძლევს შეისწავლოს მომხმარებლის ინტერესები, საჭიროებები, კონკურენტული გარემო და, შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილებები მისი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ მომხმარებელი არის ამოუვალი წერტილი. სამიზნე აუდიტორიის სწორად განსაზღვრა და მათ საჭიროებებსა და მოთხოვნებზე მორგებული პროდუქტი წარმოადგენს წარმატების ერთ-ერთ მთავარ გასაღებს.

სანტეს ერთ-ერთი მთავარი „აქტივი“ მისი 21 წლიანი გამოცდილებით შექმნილი რეპუტაცია და ხარისხიანი კომპანიის იმიჯია, რისი შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვისაც კომპანია მუდმივად დებს ინვესტიციებს საწარმოო ხაზების განვითარებასა და გადაიარაღებაში. თანამედროვე ევროპული საწარმოო ხაზი კი იძლევა საშუალებას, მომხმარებელს შევთავაზოთ მრავალფეროვანი ასორტიმენტი, შესაბამისად, 125-მდე დასახელების პროდუქტიდან, ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია გააკეთოს მისთვის მისაღები არჩევანი.

2016 წლიდან სანტე მსოფლიოს რძის პროდუქტების ბაზრის ლიდერის, Lactalis ჯგუფის წევრი გახდა, რომელიც ცნობილია ისეთი ბრენდებით როგორიცაა: President, Galbani და Parmalat. Lactalis ჯგუფი 200-ზე მეტ საწარმოს ფლობს მსოფლიოს მასშტაბით. ეს მოცემულობა კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორია ადგილობრივი წარმოების განვითარებისათვის და რძის პროდუქტების დარგში დანერგილი უმაღლეს ხარისხის სტანდარტებთან მიახლოებისთვის.

უახლოეს მომავალში „სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტების“ ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის ყველის ბაზრის განვითარება საქართველოში და, გარდა ამისა, საქართველოს სახელისა და ტრადიციების ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა ისეთი პროდუქტების სახით, როგორიცაა: ქართული ყველი ან, თუნდაც, ენდემური მაწონი.

ამ ეტაპზე კომპანია რეალიზაციას ახდენს ბოლოდ ადგილობრივ ბაზარზე. სამომავლო გეგმებსა და პრიორიტეტებში შედის ექსპორტის მიმართულებით მუშაობა, რადგან წარმოებული პროდუქცია სრულად აკმაყოფილებს უმაღლეს საერთაშორისო სტანდარტებს.

წლიდან წლამდე ეფექტიანი რეინვესტირება ახალ ტექნოლოგიებსა და საწარმოო საშუალებებში საშუალებას გვაძლევს, გავზდეთ ეფექტურები როგორც თვითღირებულების, ხარისხის გაუმჯობესებისა და წარმადობის ზრდის ნაწილში, ასევე ადგილობრივი ნედლი რძის შეგროვება-გადამუშავებაში, რაც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და ხელშეწყობის ობიექტია კომპანიისთვის მიუხედავად იმისა, რომ იმპორტირებული რძე გაცილებით იაფია ადგილობრივთან შედარებით.

სანტეს ძირითადი რისკები და გამოწვევები დაკავშირებულია სავალუტო რისკებთან, რადგან გარდა ადგილობრივი ნედლი რძისა, ნედლეულის ძირითად ნაწილს წარმოადგენს იმპორტი ევროპული ქვეყნებიდან. შესაბამისად, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ნაწილი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ევროს კურსის დინამიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ნედლი რძე პირდაპირ არ არის დამოკიდებული სავალუტო რისკებზე, ამ შემთხვევაში, გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში ნედლი რძის ბაზრის მკაცრი რეგულაციის არარსებობა, როგორც საგადასახადო ადმინისტრირების, ასევე სურსათის უვნებლობის კუთხით, რადგან ნედლი რძე ძირითადად იწარმოება/გადამუშავდება მცირე მეწარმეების მიერ, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი და, შესაბამისად, გართულებულია მათი ადმინისტრირება. ეს, საბოლოო ჯამში, არასამართლიან კონკურენტულ გარემოს ქმნის ორგანიზებული ინდუსტრიისათვის.

მეორეს მხრივ, ნედლი რძის მიმართულებით პრობლემის გადაჭრის საკმაოდ ეფექტიანი კანონპროექტი მუშავდება სახელმწიფო დონეზე, რაც ადგილობრივი, ნედლი რძისაგან წარმოებული პროდუქციის დღგ-საგან გათავისუფლებას გულისხმობს. ეს ფაქტორი ორგანიზებული ინდუსტრიის ეკონომიკას ძირეულად შეცვლის და ადგილობრივ ნედლეულს ღირებულებით კონკურენტუნარიანს გახდის იმპორტირებულ ნედლეულთან შედარებით, რაც, პირველ რიგში, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ფერმერული მეურნეობის განვითარებას და ეტაპობრივად ჩაანაცვლებს დიდი რაოდენობით იმპორტირებულ რძეს. ამ პროცესში ჩვენი კომპანიაც ინტენსიურად არის ჩართული.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ფინანსურად მომგებიანია, მოგება სრულად ხმარდება რეინვესტირებას ძირითად საშუალებებსა და ახალ ტექნოლოგიებში, ასევე რეალიზაციის ზრდის შესაბამისი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას. დივიდენდის განაწილება კომპანიიდან არასდროს მომხდარა და არც ახლო მომავალში იგეგმება.

რეალიზაციის ზრდის გეგმა საშუალოდ 5-7%-ს შეადგენს, როგორც არსებული ასორტიმენტის, ასევე ახალი მიმართულებების განვითარების ხარჯზე. ამ ნაწილში კომპანიას დაარსების დღიდან პოზიტიური დინამიკა აქვს.

